



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media.

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. სტიპენდია #DigitalSherlocks და ბრიუსელში ვიზიტი
2. გაცვლითი პროგრამა Digital Communication Network
3. მომავლის მენეჯმენტის პროგრამა
4. ამერიკის გეოგრაფიკული რეზიდენცია სამეცნიერო ჟურნალისტიკაში
5. კონკურსი – მედია პასუხისმგებლობის მიზნებისთვის
6. NED-ის გრანტები დამოუკიდებელი მედიისთვის
7. HACKDAY+ კონფერენცია ახალ მედიასა და მონაცემთა ჟურნალისტიკაში
8. მილიონიანი ფონდის აგრანტო კონკურსისთვის
9. CVCE Photo- международный фотоконкур с темой – горные виды спорта
10. Warsaw Euro-atlantic Summer Academy, საზაფხულო სკოლა WEASA ვარშავაში
11. ეკო ჟურნალისტიკის კონკურსი
12. ბორის ნემცოვის საზაფხულო ჟურნალისტიკის სკოლა პრაღაში
13. წყლის შესახებ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი
14. შშპირების ცხოვრებისას სახველი ფილმების ფესტივალი
15. კორუფციასთან ბრძოლის საზაფხულო სკოლის სტიპენდია ვილნიუსში
16. საგრანტო კონკურსი: კულტურის და აუდიო ვიზუალური კონტენტის თანხვედრა ციფრული ჟურნალისტიკის მეშვეობით

შეძელით თუ არა ჩვენ მიერ მონოღებული შესაძლებლობების გამოყენება?
გთხოვთ, მოგვწერეთ info@baltic.media.

თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება ამ საქმიანობის გაგრძელებაში!

1. სტიპენდია #DigitalSherlocks და ბრიუსელში ვიზიტი

გეოგრაფია - მსოფლიო

ატლანტიკური საბჭოს ციფრული კვლევების ლაბორატორია გთავაზობთ სემინარს. დეზინფორმაციასთან ბრძოლას ერთი ადამიანი ვერ აწარმოებს, მას რამდენიმეს გაერთიანება სჭირდება. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად სემინარს #DigitalSherlocks, რომელიც გაიმართება 4-5 ივნისს 2020 წ. სემინარზე ამზადებენ ექსპერტებს დეზინფორმაციასთან საბრძოლველად. წელს #DigitalSherlocks-ის სტიპენდიანტები შეუერთდებიან ბრიუსელში 60/Open Forum-ს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2PTX48T>

ვადა: 12 მარტი 2020 წ.

2. გაცვლითი პროგრამა Digital Communication Network

გეოგრაფია – სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა

Digital Communication Network <https://www.facebook.com/digicomnet.org/> ორგანიზებას უწევს გაცვლით პროგრამას. ღია კონკურსის ფარგლებში აირჩევა 16 მონაწილე. პროგრამა დაიწყება ბრიუსელში და გაგრძელდება აშშ-ში სამი კვირის განმავლობაში. 2-დან 24 ივნისის ჩათვლით.

პროგრამის კანდიდატები შეიძლება იყონ კომუნიკაციის ექსპერტები, ჟურნალისტები, აქტივისტები.

შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები - ინგლისური ენის ფლობა, მინიმუმ 2 წლიანი პროფესიული გამოცდილება, ინფორმაციის თავისუფლების და სწორი ინფორმაციის იდეის ერთგულება, ინფორმაციის ფართო და მრავალფეროვან აუდიტორიაზე გავრცელების შესაძლებლობა. სასურველია 2016 წლის შემდეგ არ იყოს აშშ-ში ნამგზავრი.

დანვრილებით: <https://bit.ly/3azITz2>

ვადა: 14 მარტი 2020 წ.

3. მომავლისმენეჯმენტისპროგრამა

გეოგრაფია - მსოფლიო

გუსტავ ანდერის და ანნა-მარის მედია კვლევითი ცენტრი აცხადებს მიღებას პროგრამაზე, რომელიც განკუთვნილია მედია მენეჯერებისთვის, საინფორმაციო მედიის დამფუძნებლებისთვის, მთავარი რედაქტორებისა და გამომცემლებისთვის. პროგრამა განხორციელდება რიგაში 2020 წლის აპრილიდან დეკემბრამდე. 4 ხუთდღიანი მოდულის განმავლობაში მონაწილეები მიიღებენ ბიზნესის და მენეჯმენტის მიმართულებით საბაზისო უნარებს. ასევე გაიუმჯობესებენ უნარებს ლიდერობის, სტრატეგიული აზროვნების, მარკეტინგის, ფინანსური მართვის და გადაწყვეტილების მიღების მიმართულებით. შვედეთის ინსტიტუტი უზრუნველყოფს 20 სტიპენდიას.

დანვრილებით: <https://bit.ly/3avq1zV>

ვადა: 15 მარტი 2020 წ.

4. ამერიკისგეოფიზიკურიკავშირისპრემიასამეცნიეროჟურნალისტიკაში

გეოგრაფია - მსოფლიო

ამერიკის გეოფიზიკური კავშირი (American Geophysical Union) გასცემს ორ პრემიას სამეცნიერო ჟურნალისტიკის მიმართულებით.

დევიდ პერლმანის სახელობის პრემია გაიცემა, სამეცნიერო ჟურნალისტიკის სფეროში გამორჩეული მიღწევებისთვის. მასალები მინიმალურად მოკლე ვადებში უნდა იყოს გამოქვეყნებული.

უოლტერ სალივანის სახელობის პრემია კი, გაიცემა შედარებით ვრცელი მასალებისთვის, რომლებშიც განმარტებულია სამეცნიერო აღმოჩენების და პრინციპების კონტექსტი.

მიიღება 2019 წელს გამოქვეყნებული ნამუშევრები. არაინგლისურენოვან ნამუშევრებს უნდა ახლდეს სუბტიტრები ინგლისურ ენაზე.

ორი გამარჯვებული მიიღებს 5 000 დოლარს ამერიკაში შეხვედრებზე დასასწრებად და სხვა ხარჯებისთვის.

დანვრილებით: <https://bit.ly/32TVVn4>

ვადა: 15 მარტი 2020 წ.

5. კონკურსი-მედიაპასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის

გეოგრაფია- საქართველო

სიდა/გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი აცხადებს კონკურსს ჟურნალისტებისთვის - მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის.

კონკურსის მიზანია საზოგადოებაში კორპორაციული პასუხისმგებლობის თემის პოპულარიზაცია და მედიისა და ბიზნესის დაინტერესება ამ მიმართულებით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში მომუშავე ჟურნალისტებს.

ტელე/რადიო რეპორტაჟი, ბეჭდური/ონლაინ სტატია უნდა იყოს ანალიტიკური და ეხებოდეს კორპორაციული პასუხისმგებლობის თემაზე აქტუალურ საკითხებს; კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა იმ ჟურნალისტს, რომლის მიერ მომზადებული მასალა დაიბეჭდა, გამოქვეყნდა, ეთერში გავიდა 2019 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 20 მარტის ჩათვლით; ერთ მონაწილეს შეუძლია რამდენიმე ტელე/რადიო რეპორტაჟის, ბეჭდური/ონლაინ სტატიის გამოგზავნა; აპლიკანტმა ბეჭდური/ონლაინ სტატიის ტექსტი უნდა წარადგინოს PDF ფორმატში (ტექნიკური მახასიათებლები: ტექსტი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე, ფონტი - sylfaen, ზომა 12, ხაზებს შორის დაშორება 1.5, ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 000 სიტყვას);

ტექსტის გამოგზავნა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად შემდეგ ელ-ფოსტაზე: globalcompact@cida.ge.

საკონტაქტო პირი: ეთუნა ცოტნიაშვილი, კომუნიკაციის მენეჯერი, 599 512215, pr@cida.ge

დანვრილებით: <https://bit.ly/2VVYP9A>

ვადა: 20 მარტი 2020 წ.

6. NED-ის გრანტები დამოუკიდებელი მედიისთვის

გეოგრაფია: მსოფლიო

დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი NED იღებს განაცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიებისაგან საგრანტო მხარდაჭერის მოსაპოვებლად. პროექტები მიზნად უნდა ისახავდეს დემოკრატიის და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

საგრანტო დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია მასშტაბსა და სამოქმედო სფეროზე. სტანდარტულად ითვლება 12 თვეზე განერილი 50 000 დოლარის დაფინანსების პროექტი.

დანვრილებით: <https://bit.ly/2OszhfJ>

ვადა: 27 მარტი 2020 წ.

7. HACKDAY+ კონფერენცია ახალმედიასა და მონაცემთა ჟურნალისტიკაში

გეოგრაფია – აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, მოლდოვა, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, რუსეთი

3-5 აპრილს, ბიშკეკში, ყირგიზეთი გაიმართება კონფერენცია მონაცემთა ჟურნალისტიკაში, სადაც ასევე განხილული იქნება თუ როგორ ცვლის ჟურნალისტიკას მონაცემები, ტექნოლოგიები და ინოვაციები. ღონისძიება განკუთვნილია: სტუდენტებისთვის, ჟურნალისტებისთვის, მედია მენეჯერებისთვის, ჟურნალისტიკის მასწავლებლებისთვის, დიზაინერებისთვის შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, მოლდოვა, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, რუსეთი. კონფერენცია იმართება ყირგიზეთის მონაცემთა სკოლის ორგანიზებით და World Bank Kyrgyz Republic, DFID – UK Department for International Development, IDEM e.V., Bundesministerium für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ) მხარდაჭერით.

დანვრისთვის: <https://bit.ly/32W0tb1>

ვადა: 31 მარტი 2020 წ.

8. მილიონიანი ფონდის აგრანტო კონკურსისთვის

გეოგრაფია - საქართველო

ახალგაზრდობის სააგენტო, აცხადებს საგრანტო კონკურსს რეგიონებში არსებული ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პროექტების დაფინანსების მიზნით. ფონდი თანაბრად გადანაწილდება 10 რეგიონზე.

რეგიონულმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ მდგრადი პლატფორმები, რომლებიც არაფორმალური განათლების გზით უზრუნველყოფენ ახალგაზრდების კომპეტენციების ზრდას. პროექტები უნდა იყოს გრძელვადიანი და განმეორებადი შედეგების მომტანი და უნდა უწყობდეს ხელს მათ ჩართულობას ადგილობრივ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში და სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებში.

დანვრისთვის: <https://bit.ly/32W0tb1>

ვადა: 31 მარტი 2020 წ.

9. CVCEPhoto-საერთაშორისო ფოტოკონკურსი, თემა-სამთოსახეობის სპორტი

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

CVCEPhoto -ს მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ფოტო ნამუშევრები, ასახავს სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობებს: ალპინიზმი, თხილამურებზე სრიალი და ა.შ.

მიიღება ციფრულ ფორმატში შესრულებული ნამუშევრები, (JPEG ფორმატი და არანაკლებ 1,600/1,200 პიქსელი). თითო ფაილის ზომა არე უნდა აღემატებოდეს 2 MB.

პირველ ადგილზე გასული მიიღებს – 1400€ , მეორე ადგილისთვის გათვალისწინებულია – 700€, მესამე – 300€. არის ასევე სპეციალური პრიზიც – 700€.

დანვრილებით: <https://bit.ly/2UyiRWG>

განაცხადის ვადა: 31 მარტი 2020 წ.

10. Warsaw Euro-atlantic Summer Academy, საზაფხულო სკოლა WEASA ვარშავაში

გეოგრაფია – აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები

საზაფხულო სკოლა Euro-Atlantic Summer Academy გაიმართება ვარშავაში 6-15 ივლისს. 2020 წლის სასწავლო პროცესი დაეთმობა შემდეგ თემებს: ონლაინ რადიკალიზმი და ალგორითმები, ციფრული ცვლილებები, საარჩევნო უსაფრთხოება, კონტენტის მოდერირება, ონლაინ გამოძიებები. სკოლის სამუშაო ენა-ინგლისური. ორგანიზატორები ფარავენ სამგზავრო, საცხოვრებელ და კვების ხარჯებს.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კანდიდატებს დასაქმებულებს შემდეგი მიმართულებით: საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის ორგანიზაციები. ასევე, პოლიტიკურ ანალიტიკოსებს, ექსპერტებს, კონსულტანტებს, ჟურნალისტებს, ა/ო-ს წარმომადგენლებს.

უპირატესობა ენიჭებათ კანდიდატებს, რომლებმაც ჯერ ვერ მიაღწიეს კარიერის ბოლო საფეხურს და გააჩნიათ არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.

დანვრილებით: <https://bit.ly/3ayMVGw>

ვადა: 1 აპრილი 2020 წ.

11. ეკო პურნალისტიკის კონკურსი

გეოგრაფია - მსოფლიო

ეკო პურნალისტების საზოგადოება იღებს განაცხადებს ყოველწლიურ კონკურსში მონაწილეობისათვის. ჯილდოები გაიცემა 10 კატეგორიაში. მათ შორის, თემატური სტატია, პურნალისტური გამოძიება, განმარტებითი პურნალისტიკა და წიგნი ეკოლოგიურ თემაზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის არ არის სავალდებულო ეკო პურნალისტიკის მიმართულებით სპეციალიზაციას, საკმარისია მხოლოდ ამ თემაზე შესრულებული მასალის წარდგენა. არაინგლისურ ენაზე შესრულებულ მასალებს უნდა ახლდეს ინგლისურენოვანი თარგმანი.

კონკურსში მონაწილეობის მოსაკრებელი, დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების წარმომადგენლებისათვის შეადგენს 10 დოლარს.

(<https://datahelpdesk.worldbank.org/knowledgebase/articles/906519-world-bank-country-and-lending-groups>)

Nina Mason Pulliam-ის პრემიის მფლობელი მიიღებს ჯილდოს სახით 10 000 დოლარს. ყოველ სხვა კატეგორიაში პრიზი პირველი და მეორე ადგილებისთვის შეადგენს 500 და 250 დოლარს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2wCugLy>

ვადა: 1 აპრილი 2020წ.

12. ბორის ნემცოვის საზაფხულო პურნალისტიკის სკოლა პრალაში

გეოგრაფია - აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, რუსეთი და სხვა პოსტ საბჭოთა ქვეყნები, ევროპა და ამერიკა

ბორის ნემცოვის ფონდი <https://nemtsovfund.org> იღებს განაცხადებს პურნალისტიკის და სოც. კულტურული კვლევების საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისთვის, რომელიც 13-31 ივლისს შედგება. სკოლის მონაწილეები შეიძლება იყონ ახალგაზრდა პურნალისტები, ბლოგერები, სამოქალაქო აქტივისტები, მკვლევარები. სამუშაო გამოცდილება 3-4 წელი.

სავალდებულო პირობა: რუსული ენის თავისუფალი ფლობა და საკუთარი პროექტის რეალიზება.

განაცხადის სავალდებულო ნაწილია პროექტის კონცეფცია. პროექტის თემა შეიძლება იყოს აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საკითხი.

შერჩეულ მონაწილეებს სთავაზობენ:

- საერთაშორისო და რუსი პურნალისტების, პოლიტოლოგების, ეკონომისტების, სამოქალაქო აქტივისტების ლექციები და მასტერკლასები;
- ქეისების განხილვა;
- პრაქტიკული სავარჯიშოები და სკოლის მონაწილეების პროექტების განხილვა;
- თანამედროვე მონტაჟის, გადაღებების, ინფოგრაფიკების, გახმოვანების და სოც. მედია მენეჯმენტის მასტერ კლასებს;
- საკუთარი მედიაპროექტების შექმნის ვორქშოპები;
- დოკუმენტური ფილმების ჩვენებები და დისკუსიები რეჟისორებთან;
- ვიზიტები ჩეხურ და საერთაშორისო მედიების ოფისებში.

დანვრილებით: <https://bit.ly/39uyHX5>

ვადა: 1 აპრილი 2020

13. წყლის შესახებ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი

გეოგრაფია - მსოფლიო

ფონდი „ჩვენ წყალი ვართ“ <https://www.wearewater.org/en> (We Are Water Foundation) იწყებს მოკლემეტრაჟიანი ფილმების მიღებას ამავე სახელწოდების ფესტივალში მონაწილეობისთვის. ნამუშევრების წარდგენა შეუძლია ყველას.

ფილმები უნდა იყოს გამოშვებული 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ და უნდა ეხებოდეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წყლის პრობლემებს და ამალღებდეს საზოგადოების ცნობიერებას. ამ წლის თემა - კლიმატური კრიზისი. მიიღება ანიმაციური, დოკუმენტური, მხატვრული ფილმები ნებისმიერ ენაზე. არაინგლისურენოვან ფილმებს უნდა ახლდეს ინგლისური სუბტიტრები. თითოეულ კატეგორიაში გამარჯვებული მიიღებს 3 000 ევროს, ასევე გაიცემა პრიზი მაყურებლის სიმპათიის მიხედვით 1000 ევროს ოდენობით.

დანვრილებით: <https://bit.ly/3atMbCs>

ვადა: 2 აპრილი 2020 წ.

14. შშმ პირების ცხოვრების ამსახველი ფილმების ფესტივალი

გეოგრაფია- მსოფლიო

BOSIFEST <http://www.bosifest.rs/en/> – შშმ პირების შესახებ მომზადებული ფილმების და ასევე, შშმ პირების მიერ გადაღებული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება 19-21 დეკემბერს ბელგრადში, სერბეთი. ფესტივალის თემა - შშმ პირების ცხოვრება და მათი საქმიანობა.

საკონკურსოდ მიიღება 100 წუთამდე ხანგრძლივობის დოკუმენტური ფილმები, რომლებიც შექმნილია 5 წლიან პერიოდში, სერბულ ან ინგლისურ ენაზე. სხვა ენებზე შექმნილ ნამუშევრებს უნდა ახლდეს ინგლისურენოვანი სუბტიტრები.

დანვრილებით: <https://bit.ly/2vJuqk2>

ვადა: 24 აპრილი 2020 წ.

15. კორუფციასთან ბრძოლის საზაფხულო სკოლის სტიპენდია ვილნიუსში

გეოგრაფია - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, პოლონეთი, რუსეთი, ტაივანი, უკრაინა

საზაფხულო სკოლა Transparency International School on Integrity 6-12 ივლისს პროგრამის მონაწილეები გაეცნობიან უახლეს მექანიზმებს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. მათ ასევე, მიეცემათ საკუთარი იდეების რეალიზების საშუალება. კურსი მოიცავს ლექციებს, სემინარებს, ტრენინგებს და ექსკურსიებს.

განაცხადების წარდგენა შეუძლიათ სტუდენტებს, ახალ კურსდამთავრებულებს და გამოცდილ ჟურნალისტებს არაუმეტეს 35 წლისა..

სწავლების საფასური შეადგენს 800 ევროს. ორგანიზატორები სთავაზობენ სრულ ან ნაწილობრივ სტიპენდიებს შეზღუდული რაოდენობით. სრული სტიპენდია ფარავს სამგზავრო, საცხოვრებელ და კვების ხარჯებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/38plQDj>

ვადა: 30 აპრილი 2020 წ.

16. საგრანტო კონკურსი: კულტურის და აუდიო ვიზუალური კონტენტის თანხვედრა ციფრული ჟურნალისტიკის მეშვეობით

გეოგრაფია - სომხეთი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

დონორი - პროგრამა Creative Europe. კონკურსი მონაწილეები – მედია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მხარდაჭერას მიიღებს შემდეგი პროექტები:

- პროექტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა კულტურული და კრეატიული ინდუსტრიების სექტორებში თანამშრომლობის ახალ ფორმებს. მათ შორის, აუდიო ვიზუალური, უახლესი ტექნოლოგიების, ვირტუალური რეალობის გამოყენებით.

- პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს დარგთაშორის ინოვაციურ მიდგომებს და იმ ინსტრუმენტების განვითარებას, რომელიც ემსახურება კულტურის და კრეატიულობის წვდომის და მონეტიზაციის გაზრდას.

დანვრილებით: <https://bit.ly/2Q8efE3>

ვადა: 14 მაისი 2020 წ. 17:00 ბრიუსელის დროით.

შეძლია თუ არა ჩვენ მიერ მონოდებული შესაძლებლობების გამოყენება? გთხოვთ, მოგვწერეთ info@baltic.media.

თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება ამ საქმიანობის გაგრძელებაში!

© **Baltic Centre for Media Excellence, 2020**

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები:

ალინა რუდინა, არშალუსის მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიევსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- digitalsherlocks.org
- worldlearninginnovanddev.wufoo.com
- mediamanagement.lv
- news.agu.org
- internews.kg
- ned.org
- youthplatform.gov.ge
- cvcephoto.com
- weasa.org
- sej.org
- summerschool.nemtsovfund.org
- filmfestival.wearewater.org
- bosifest.rs
- transparencyschool.org
- ec.europa.eu